№ 833 ხუთშაბათი, 3 ივნისი. 1896—1899 ხუთშაბათი, 3 ივნისი № 833

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10 3 საათამდე და საღამოს 6—7 ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

[illegible] ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ. ცალი ნომერი 3 კაპიკი [illegible]

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 339


## წლის დამლევამდე გაზეთი „ცნობის ფურცელი" ეღირება 3 მან. 50 კაპ.


## წლიური საერთო კრება

რადგანაც 29 მაისს დანიშნული **საზოგადო კრება** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დილის 10 საათზე და განსახილველნი იქნებიან შემდეგი საქმეები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლის.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
4) მოხსენება განსვენებულის აღ. რობინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.


სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

**ქეფირი და კუმისი**

ერთად ერთა ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—25) ო. კორონა.

**ვ. ზუნიას სტამბა**

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. გ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზმირაძი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი. თვალების ავადმყოფობას — ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟის თვის. მკურნალთ დირექტორი ს. გ. თოფურია

Лѣчебница С. Г. Топурія въ Кутаисѣ.

**ექიმი**
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.


## ახალი ამბავი

*** ყოველად სამღვდელოს წირვა მამა დავითის მონასტერში. დღეს ხუთშაბათს ყოვლად სამღვდელო საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე მწირველი იქნება მამა დავითის მონასტერში.

*** საქმობა სამოსამართლო დაწესებულებაში ამ ზაფხულის დროს იწყება დილის 9 საათიდან და თავდება ნაშუადღევის 2 საათზე.

*** გადამდები სენი ტფილისში. წარსულ მაისის თვეში ტფილისში ავად გამხდარან გადამდების სენით სახადით 46 კაცი ყვავილით 7, ხუნაგით 6, ყელ-ჭირვებით 2, წითელით 10 და ყივანა ხველით 2.

*** საკანდიტერო დათვალიერება. ამას წინად საიკიანცის საკანდიტეროში „მოროჟენი" (გაყინული) უჭამია 15 კაცს და ხუთმეტივე ავად გამხდარან ან უკეთ ვსთქვათ: მოწამლულან. ამის გამოისობით ექიმს გედალინს დაევალა დათვალიერება ყველა საკანდიტროთა, ხოლო საიკიანცს აეკრძალა „მოროჟენით" ვაჭრობა, რადგან საკანდიტროში ეს მეტად იწამლება ხალხი.

*** ქუთაისი. 31 მაისი. ბანკის არჩევნები. რაც ამ კვირაში ამბავი იყო და მითქმა-მოთქმა ამას ვინ ასწერს! ვიჩქარი ცხელი ამბავი შეგატყობინოთ. დღეს პირველი კრება იყო. სულ გამოცხადნენ 197 წარმომადგენელნი. გულზე ხელის დადებით ვერავინ იტყვის ვისი პარტია უფრო ძლიერია ბ. ჩიკვაიძის თუ ოპოჩინიცის. კალისტრატე ჩიკვაიძე კი ფერზე ვერ არის, ამ ცხრა წლის წინათ რომ გადახედავდა თავის „მემამულებს" ეს არწივური გამოხედვა აკლია... სულ ბ. ლოლუასთან ჩურჩულობს კრების დაწყებამდის.

კრებაში მოვიდა ახალი ამბავი: წოხლის სამეგრელო-ლეჩხუმის წარმომადგენელთ უთხოვიათ ბ. ლოლუასთვის, რომ კრების თავმჯდომარის ალაგზე კენჭს ნუ ჩამოატარებ, რადგან არ შეგფერის ვითარცა ზედამხედველი კომიტეტის წევრსო. მაგრამ ბ. ლუარსაბს ცივის უარით გამოუსტუმრებია პატივცემული თავად-აზნაურობა.

— თქვენ თუ მაგს ჩამიგდებთ, სხვები თეთრებს მომაყრიან და ეს თეთრები იმდენათ მეტია, რომ სირცხვილი იქნება ჩემი უარი. მეკენჭეებს (კალისტრატესი) იმდენათ პატივს ვცემ, რომ უარს არაფერში ვეტყვიო.

კიდევ ახალი ამბავი:

ბ. კალისტრატეს მოუწვევია თავისი მომხრენი და უთქვას ვაი თუ ლოლუა გაამავონ ს. წერეთლის წინაამდეგო და მოდი მე ვიყრი კენჭს კრების თავმჯდომარეთო, კანონში სწერია, რომ კრება ირჩევს თავის წარმომადგენელთა შორის თავმჯდომარეს და მეც ხომ წარმომადგენელი ვარო.

მომხრეებს ეს ხუმრობათ მიუღიათ და კალისტრატეს, დარცხვენილს, აღარ გაუგრძელებია ამ საგანზე ბაასი.

12 საათზე მოისმის ზარის რაწკუნი. ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე თავ. ა. წულუკიძე მიმართავს საზოგადოებას, რომ ბე-

ჯითად მოვეკიდოთ საქმეს და გულდასმით, აუღელვებლად განვაგოთ ყოველივე. მაგრამ წამლის სუნი ზდის და ყველა გრძნობს იფეთქებს მალე!

თავმჯდომარე. გთხოვთ დაასახელოდ კრების თავმჯდომარის კანდიდ... ვერ მოასწრებს სიტყვის დაბოლოვებას და 200 კაცის ყელიდან მოისმის საშინელი ხრიალი.

— ს. წერეთელი, წერეთელი, მარშილი, მარშალი! ლოლუა, ქიქოძე, ქიქოძე მოსე!

— უკენჭოთ წერეთელი, უკენჭოთ, მოისმის ერთის მხრიდან.

— არ შეიძლება! არა! არა! კენჭი!

გ. ჩიკვაიძე. ბ. თავმჯდომარე! მე ვთხოულობ კანონიერად მოვიქცეთ და კენჭი ჩამოვატაროთ. მოისმის იქით-აქეთ ფრუტუნი.

ბ. დუმბაძე. ეხლა და ახლა თხოულობს მაგი კანონიერობას? სა იყავი ამ ცხრა წელიწადს? აქამდი ჩაყლაპური გქონდა კანონი და ახლა გამოახტუნე?..

შეიქნება ხარხარი და ყვირილი

გ. ჩიკვაიძე. ვსთხოვ ბ. დუმბაძეს ნუ არღვევს წესიერებას. . კანონი თხოულობს და უნდა დავიცვათ იგი. კენჭი უნდა ჩამოვატაროთ!

ბ. დუმბაძე. და აგია რომ მაკვირვებს, ჩიკვაიძე და კანონის... შენ.. ... უსტაბაში ხარ და მე მასწავლი წესიერებას? აღარ გაბედო მეორეთ მაგისთანა ბურტყული...

ასტყდება ჩიკვაიძიანთებში საშინელი ხმაურობა.

ბ. მ. ქიქოძე. ვითარცა ზედამხედველი კომიტეტის წევრს მე არ შემფერის კრების თავმჯდომარის ალაგზე კენჭი ჩამოვატარო და ვაცხადებ უარს. მე ჩემი ცხრა წლის მოქმედების ანგარიში უნდა წარვუდგინო თავჯდომარეს და კრებას, როგორ შეიძლება რომ ეს მოსახერხებელი იყოს..

შეიქმნება საშინელი ხმაურობა, ყვირიან რომ არ შეიძლება. უნდა იყარო! უნდა იყარო, შეგვშინდა განა! ეგ სიფრთხილეა... ყოველ სიტყვის ასე აწყვეტინებდნენ.

— თქვენ თვითონ ხართ ფრთხილები, რომ გეშინიანთ ჩემი სიტყვის მოსმენა, მოუჭრის ბ. ქიქოძე მეყროყინეთ!

დადგმენ მაგიდაზე ორ ყუთს ერთი თავ ს. წერეთლისათვის და მეორეს ბ, ლ. ლოლუასათვის.

იწყობა კენჭობანა.

თ. დ. ნიჟარაძე, ქუთაისის მაზრის მარშალი, მივა ს. წერეთლის ყუთთან ახდის საფარველს და მიუბრუნდება კრებას.

— ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს გუბერნიის მარშალს თავ. ს. წერეთელს კრების თავმჯდომარის ალაგზე ახდილათ მივსცე კენჭი! გთხოვთ თქვენც ასე მოიქცეთ! (ჩაგორებს კენჭს).

შეიქნება ყვირილი ჩიკვაიძიანთებში!

— ლოლუა. ეგ უკანონობაა და ვაცხადებ პროტესტს...

— გაჩუმდი, უყვირიან, შენ მაინც ნუ ამბობ ნორას! მაღრაძე დაგავიწყდა, მაღრაძე? როცა შენ იყრიდი კენჭს ქალაქის თავობაზე, მაღრაძემ რათ ჩაგიგდო ახდილში?!! გათავდა კენჭის ყრა... უკვე შეწყდა ხმაურობაც და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდი..

ითვლიან ს. წერეთლის ყუთს... ერთი, ორი, ოცი, სამოცი. ასი...

— ასი! ბრავო! ბრავო..

ასტყდება ტაშის ცემა.

— ას ერთი... ას ათი ას თერთმეტი!..

აქ ოპოზიციის აღტაცებას სამზღვარი აღარ აქვს. ბ. ჩიკვაიძის მხარეზე სახეები აღარ მოჩანს, თითქოს გაყვითლებული კედელი დგასო.

თავ. ს. წერეთელს 111 თეთრი და 86 შავი! ლ. ლოლუას 100 თეთრი და 97 შავი.

პირველი ლელო ოპოზიციას ხვდა... ვნახოთ შემდეგში...

—

P. S. სულ ახალი ამბავი: ამბობენ კრების ერთ ნაწილს წინადადება შეაქვს: სისხლის სამართალში მივსცეთ ბ. ჩიკვაიძე, ნ ერისთავი და ივ. ჯაიანი მათი ბანკში ბოროტ-მოქმედებისათვის... რამდენათ მართალია ეს ამბავი და თუ ღირსნი არიან ეს ვაჟბატონები განსჯისა, მალე შევატყობინებთ

დ. ვერიცანიძე.

*** **ღ. ზუგდიდი** (სამეგრელო) სამკითხველო ქრება! ვინც წაიკითხავს ამ წერილის სათაურს, ის უეჭველად დაინტერესდება ამ წერილის წაკითხვაში და ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს მწუხარებაში, ვისაც კი ოდნავ მაინც უღვივა სამშობლოს სიყვარული და უსწავლელთა სიბრალული. საქმე იმაშია, რომ სამკითხველო ქრება რისთვის? რა მიზეზით? რამ აიძულა ამ ერთად ერთს ჩვენს (ზუგდიდელების) გონებითი გასართობ-გამავითარებელ საგან-სამკითხველოს გაქრალიყო ჩვენის ხელიდგან? აი ეს არის საკითხი.

ამ ერთი თუ ორის წლის წინად განიზრახეს ზუგდიდელებმა, ე. ი. ზუგდიდელ ინტელიგენციამ, რომ დაეარსებინათ უფასო წიგნთსაცავი სამკითხველოთი, რაისათვის ცოტაოდენი წიგნებიც მოაგროვეს და ბარე სამ-ოთხჯერ წარმოდგენაც გამართეს მომავალის სამკითხველოსათვის. უკანასკნელად შარშან 1 და 2 მაისს წარმოდგენა იყო გამართული სამკითხველოს სასარგებლოდ, რომლის შემოსავლით მოპოვებულ იქმნა ზოგიერთი სამკითხველოსათვის საჭირო ნივთები და 4 თუ 5 მაისს უფრო აქაურებისათვის საჭირო ჟურნალ-გაზეთები გამოვარჩიეთ და გამოვიწერეთ ნახევარის წლით, ზოგმა მუქთათ დაგვითმო, ზოგს ნახევარი ფასი გაუგზავნეთ და ასე ამ რიგად 1899 წლის დასაწყისამდის ამ სამკითხველოს მისდიოდა: ცნობის ფურცელი, ივერია, კვალი, კრებული, მწყემსი, Кавказъ, Новое обозрѣніе, Пастырь, და კიდევ მგონია მოამბეც, ასე რომ თამამად შეგვეძლო ქედი არ დაგვედრიკა და ზოგიერთ სხვა სამკითხველოებისათვის გადმოგვეძახა: „უიყლიყო!“, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა, ჩარხი უკუღმა დაგვიტრიალდა და ერთბაშად ასე უცებ დაარსებული, არა დასაწყისი სამკითხველო ოდნავ ბჟუტავს ახლად გამოჩენილ ვარსკლავსავით, ან ნაღვერდალში ჩაფლულ ნაკვერცხალსავით. დღეს სამკითხველოს ორიოდე გაზეთი მოსდის და ისიც დღეს თუ ხვალ აღარ იქნება, რადგანაც ეს გაზეთებიც წიგნის მაღაზიის პატრონის ბიბლიოთეკაის საკუთარის საშუალებით უნდა იყოს გამოწერილი და ისიც ნახევარის წლით. სხვანი სამკითხველოს არც წევრები ჰყოლია, არც თავი, არც თანამგრძნობელი. მაშასადამე ზუგდიდში არ ყოფილა ინტელიგენცია, თუნდაც რომ იყოს, აქაურ ინტელლიგენციას დემოკრატებისათვის მხარი უქცევია და არისტოკრატიას უფრო ემხრობა და ალბათ თვით მათ ექნებათ გამოწერილი და თუ-კი თვით გაერთვებიან და განვითარდებიან, მდაბიო ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ. მაგრამ, ვაი, თუ რომ არც თვით მათ დაუდის და ეს ადვილი შესატყობია. ამისათვის ბ. რედაქტორო! ეხლა თქვენდამი მოვიქცევი, სხვას არ მივმართავ, რადგან თქვენ გაზეთს, მგონია, სხვებზე უფრო მეტი გავლენა და გავლა აქვს და გთხოვთ შეგვატყობინოთ: რამდენი ეგზემპლიარ გაზეთს იწერენ ზუგდიდელები?

ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ აქ პირველ მაისობას *) გამართული იყო წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ და მით ცოტა ხანს მაინც ქვეყნის თვალში ზუგდიდელების სასირცხვილოთ არ გამქრალიყო სამკითხველო? ეს ადვილი შესაძლებელი იყო. მეტყვით „თავი უნდოდათ“. გარწმუნებთ, რომ არც თავი აკლდათ, მაგრამ საქმე გაფუჭებია დღს დასობას და „შენ“. — „ჩემობას“, როგორც მე ეს შევიტყე ... ამისათვის კრინტი.. ხმა არ ამოიღება, რადგან სადაც პარტიობა ატყდება, იქ არა სიკეთე გამოვა-რა. მაგრამ იქ მაინც რაღა საჭირო იყო პარტიობა? ჩიკვაიძის და ლორთქიფანიძის ამორჩევა ხომ არ იყო... მახლას ზუგდიდელებო ..

გურულ-მეგრელი

*) აქ ყოველ წლივ იციან პირველ მაისობა: ბურთაობა დოლი (მარულა) და დიდ-ძალმ ხალხი იკრიბება:

*** **ჯუმათი.** პუშკინის დღესასწაული. 26 მაისს, ასი წლის დაბადებიდან შესრულება სახიქადულო დიდის პოეტის ა. ს. პუშკინისა იდღესასწაულეს ყველა გურიის სკოლებმა, მაგრამ შესამჩნევი ამათში ჰინანის, ჯურუყვეთის და ჯუმათის სოფლების სკოლების დღესასწაული იყო; მასწავლებლებმა წინა დღით ესე იგი 25 მაისს დაიბარა შეგირდებს, რომ დილით ადრიანათ მოსულიყვნენ სკოლაში, თუმცაღა ეს სკოლები საკმაო მანძილით დაშორებულია ერთმანეთისგან, მაგრამ აი საქმე როგორ მოიწყო: ჰინანის სკოლის მასწავლებელმა თავის შეგირდებით სადღესასწაულო ტანთ საცმელებით დაკაზმულნი გამოსწიეს ჯურუყვეთის სკოლაში. აქაც მზით დახედით მასწავლებლები თავიანთის მოსწავლეებით აქედან ორივე კლა შეგირდებით გამოსწიეს ჯუმ სამინისტრო სკოლისკენ, ს მივიდნენ დილის რვა საათ ცოტა დასვენების შემდეგ გა ზავრნენ ჯუმათის ქედზედ, მონ ტერში, გზაში ამათ შემოუერთ ნენ აქაური სამრევლო სკოლი მოწაფეებიც. ამათ მოგზაურობ აღტაცებაში მოჰყავდათ მნახვე ლი. ოროლ წყობათ დაკაზმულ მოსწავლეები თითქმის ასი საჟენი სიგრძეზედ იყვნენ ჩამწკრივებულ ნი. ამათ წინ მოუძღოდა ერთ მასწავლებელი, შუაში იქით აქეთ ორი ასე მწყობრათ, ხ გალობით და ხან ხალხურის სი ღერებით იატრეს ჯუმათის მ ნასტრამდის, იქ მოეგება არხიმ დრიტი მ. გერასიმე დალოცა ი ნი, ზარს შემოჰკრეს და ლოცვ დადგა. მამა გერსიმემ გარდაიხა პანაშვიდი განსვენებულის პოეტ სულის მოსახსენებლად. პანაშ დის შესრულების დროს მამა ხიმანდრიტმა წარმოსთქვა მოკ და გრძნობიერი სიტყვა პოეტ ცხოვრებიდან და სწავლა განათ ბას თუ რა მნიშვნელობა და ს გებლობა აქვს. შემდეგ მონა რის ეზოში დაისვენეს, აქ ერ ისადილეს მასწავლებლებმა მოსწავლეებმაც, რომლებისათ დამზადებული იყო აქაურის წავლებლის ბ. კ. გობეჩაისა ნასადილევს მასწავლებლების ხნობით გამართეს სხვა და

თამაში, ასე აქ გაატარეს საღამო მეხუთე საათამდის და დიდათ ნასიამოვნები გაუდგნენ თავ-თავის სკოლებში, ან დღესასწაულს ბუნებამაც სხვა ფერი ელვარე დაადვა. იმ დღეს ცა ძლიერ მოწმენდილი იყო, მაგრამ საკმაოდ გრილოდა, რადგანაც ჰქროდა დასავლეთის გამაცოცხლებელი სიო.

ს. ლაშის პირელი

## სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება

ამის შემდეგ კამათობა გამოიწვია სვეტის-ცხოველის განახლებისათვის შეწირულებამ ბ. ნატროშვილი, თ. ი. ს. ჭავჭავაძე, თავ. ი. გ. ამილახვარი და ზოგიერთნი თხოულობდენ შესწირონ 10.000 მან.

გადაწყდა 5.000 მან.

სხვა კითხვებს არ გამოუწვევია ბევრი ბაასი.

ქართულ დრამატიულ კომიტეტს დაუნიშნეს 1000 მან. და დანარჩენი თავისუფალი ფული მისცეს სესხად ქართული გიმნაზიის ასაგებად.

სამეურნეო საჭიროების თანხისთვის წელს ბანკის შემოსავლიდამ გადაიდო 23.831 მ. 51 კ.

ამ თანხიდამ 5.000 მან. დაენიშნა წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლას, ტფილისში პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად 2.383 მან., ტფილისის გუბერნიის მეურნეობის გამოკვლევისათვის 1000 მან. და დანარჩენი 15.448 მან. კიდევ სესხად ქართული გიმნაზიის ასაგებად.

ყოფილი დირექტორის თავ. ავალიშვილის ქვრივმა ითხოვა სამის წლის ვადით წელიწადში 350 მან. ქალის გასაზრდელად.

კრებამ გადასწყვიტა მიეცეს.

ამის შემდეგ დამტკიცდა საპენსიო კასის ბანკში მოსამსახურეთათვის პროექტი.

ამ კასისათვის ყოველწლივ ბანკის შემოსავლიდამ გადაიდება ათი წლის განმავლობაში 50.000 მან,

არჩევნების ამბავი გუშინ მოვიხსენიეთ.

## ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

XI *)

ამახობაში 14 დეკემბერი დადგა 1825 წლისა. დეკაბრისტების ამბავმა მეტად შეაშფოთა პუშკინი. ჯერ სცადა, წავალ მეც და მივეშველები აჯანყების მოთავეთაო, მაგრამ ისევ დაბრუნდა გზიდან. მთავრობამ დაიწყო დაპატიმრება მრავალი საუკეთესო განათლებულის კაცისა; მათ შორის ბევრი ერია პუშკინის ამხანაგი და მეგობარი. დადგა ისეთი დრო, რომ ყველას უნდა ეფიქრნა გადაერჩინა როგორმე თავი განსაცდელისაგან. პუშკინმა გადასწყვიტა წიგნი მიმართნა ახალ მთავრობისათვის თხოვნით: იმისთვის ხომ არა დაუშავებია-რა, იქნება ისე სასტიკად არ მომეკიდოსო. ამ აზრით მიჰმართა თავის გავლენიან მეგობრებს. მეგობრებმა თავი გამოიდეს და ყოველის ღონისძიებით ეცადნენ მის განთავისუფლებას სოფელში დატყვევებისაგან ზამთარ—ზაფხულ. მართლაც, ისე მოსწყინდა პუშკინს იძულებით და გამუდმებით ტყვეთ ყოფნა სოფელში, რომ კინაღამ თავი არ მოიკლა. ერთხანად სცდილობდა სამზღვარ-გარედ გაპარულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა გაპარვას იმიტომა ცდილობდა, რომ რამდენჯერაც ითხოვა ნება სამზღვარ-გარედ წასვლისა მთავრობამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა. ამიტომ ეხვეწებოდა ნაცნობებსა და მეგობრებს, მიშველეთ, გამანთავისუფლეთ როგორმეო. ახლა უკვე გამეფებული იყო ნიკოლოოზ პირველი.

ამბავი პუშკინის განთავისუფლებისა ელვასავით სწრაფად მოედო მთელს მოსკოვს, სადაც ხელმწიფის დაგვირგვინების დღესასწაულები იყო გაჩაღებული. პუშკინი ახლა ყველგან სასურველი სტუმარი შეიქმნა. ყველას უხაროდა იმისი განთავისუფლება, უფრო მწერლებსა და ლიტერატორებს. კრება კრებაზე იმართებოდა მათი და ამ კრებაზე დიდი ბაასი და კამათი იყო ხოლმე სხვა და სხვა სალიტერატურო და საფილოსოფიო საგნების შესახებ. პუშკინი აუცილებლად ესწრებოდა ამ სხვა და სხვა კრებას. პუშკინმა წაიკითხა ერთ ამისთანა კრებაზე თავისი ახლად დაწერილი დრამა ჯერ სობოლევსკისას და მერე ვენევიტინოვისას. მეორე კითხვას მრავალი სწავლული და ლიტერატორი დაესწრო, სხვათა შორის ძმანი ხომიაკოვები, კირეევსკები (გამოჩენილი სლავიანო ფილები), მიცკევიჩი (პოლონელთა გამოჩენილი პოეტი), (შევირიოვი, პაგოდინი და სხვ. კითხვა გათავდა და დიდის ამბით მიულოცეს პუშკინს ასეთი შესანიშნავი თხზულების დაწერა. „დიდხანს შევყურებდით ერთმანეთს,—იგონებს ამ ამბავს პაგოდინი: და შემდეგ ყველანი ერთად მივეხვიენით პუშკინს. დაიწყო კოცნა ამბორი, ერთი ჟრიამული, სიცილხარხარი, მილოცვა, ტირილი სიხარულისა... გაჩნდა შამპანური, პუშკინი გამხიარულდა, იამა ჩვენი ასეთი აღტაცება, გვიამბო თავისი პლანები დასაწერად განძრახულ თხზულებათა. ოჰ, რა საკვირველი კრება იყო, რანაირ საუკუნოდ ჩაგვებეჭდა იგი კრება ყველას ხსოვნაში! აღარ მახსომს, როგორ დავიშალენით, როგორ დაღამდა ის დღე, როგორ და ვინ სად დავიძინეთ. არცა მგონია, რომ ვისმე სძინებოდეს იმ ღამეს ასე ძლიერი იყო ჩვენი აღელვება, ასე შეირყა მთელი ჩვენი აგებულება!“

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 832.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

წითელი რემონტანტიური ვარდები ოცი.

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მარი ბაუმან | 1863 | ბაუმან | საფრ |
| 2 | ალფრედ კოლომბ | 1863 | ლაშარმ | — |
| 3 | მადამ ვიკტორ ვერდე | 1883 | ევგენ. ვერდიე. | — |
| 4 | ფიმერ გოლმეს | 186[illegible] | — | |
| 5 | სენატორ ვესსე | 1859 | გილიო. | — |
| 6 | სუვენირ დე ხპა | 1873 | გოტრო | — |
| 7 | მარლ ლეფევრ | 1862 | ლაშარმ | — |
| 8 | გენერალ ჟაკემინო | 1853 | რუსსელ | — |
| 9 | ალფრედ კ'ვოლიამს | 1878 | შვარც | საფრ. |
| 10 | ულრიხ ბრუნნერფის | 1881 | ლევე | — |
| 11 | დიუკოფ ტეკ. | 1880 | პაულ-სინ | — |
| 12 | ეტიენ ლევე | 1871 | ლევე | ინგლ. |
| 13 | დოკტორ ანდრი | 1865 | ევგენ. ვერდიე. | საფრ. |
| 14 | დიუკ ოფ ედინბურგ | 1868 | გ'პაულ. | — |
| 15 | ჟიულ მარგოტენ | 1853 | მარგოტენ | ინგლ. |
| 16 | ვიკტორ ვერდიე | 1859 | ლაშარმ | საფრ. |
| 17 | მ'ანნი ვუდ | 187[illegible] | ევგენ. ვერდიე. | — |
| 18 | გლოარ დე ბურ ლარენ | 1880 | მარგოტენ | — |
| 19 | ეკლიარ | 1883 | ლაშარმ | — |
| 20 | დიუკ ოფ კონნაუტ | 1879 | ბენნეტ | ინგლ. |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 მაისი.

**პარიზი.** ელისეს სასახლიდგან მოყოლებული ლონშანამდე პრეზიდენტ ლუბეს განუწყვეტლივ სალამს აძლევდნენ მაღლა და აღტაცებულის ხმით. „გაუმარჯოს ლუბეს!“ იქა-აქ გაიგონებოდით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ხალხს იმაგრებდნენ პოლიციელები და დრაგუნები, რომელნიც შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. წყალვარდნილთან, სადაც უფრო დიდმა ხალხმა მოიყარა თავი, ახალი აღტაცებული ავაცია გაუმართეს პრეზიდენტს. პრეზიდენტი მოვიდა თავისს ტრიბუნასთან ისე, რომ არავითარი უსიამოვნება არ შემთხვევია. დაინახეს-რა ლუბე ტრიბუნაზედ, ასტყდა ხმაურობა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ აგრეთვე ისმოდა: „გაუმარჯოს ჯარსაო!“

**პარიზი.** როცა პრეზიდენტი გამოჩნდა ლონშანის შესასვლელთან, რამდენიმე კაცმა, რომელნიც Encein te du pesage-ს გარეშე იდგნენ, ხმაურობა ასტეხა: „გაუმარჯოს ჯარს, არ გვინდა ზოლაო!“ შეტაკება მოხდა. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. 4 ს- 40 წუთ. ლუბე ელისეს სასახლეში დაბრუნდა; გზაში ისევ ესალმებოდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს ლუბესაო!“ არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა.

**პარიზი.** პარლამენტის ბევრს წევრს უხარიან, რომ მხიარულება ვერაფერმა დაარღვია; იწონებენ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებას და აქებენ ხალხის კეთილ გონიერებას. სოციალისტების მეთაურნი, განსაკუთრებით ჟორესი, თავიანთ მეგობრებს ურჩევდნენ ზომიერებას.

ბულვარზედ დიდი მოძრაობაა. რამდენიმე კაცმა მანიფესტაცია მოახდინა „ლიბრე პაროლეს“ წინაამდეგ. პოლიციამ წინადადება მისცა ხალხს დაშლილიყო.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტი რომ დაბრუნდა ლონშანიდგან, ხალხი აღტაცებულის ხმით ყვიროდა. გზაში ყველგან ისმოდა: „გაუმარჯოს ლუბესო!“ აგრეთვე ისმოდა: „გაუმარჯოს ზოლას, გაუმარჯოს პიკარსო!“ როცა დელკასეს ეტლი გამოჩნდა, იმას ძლიერ დიდი ავაცია გაუმართეს. ხალხი შემოესია მინისტრის ეტლს და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს დელკასეს! მიაფურთხეთ დერულედსო!“ სხვა მინისტრებიც ავაციის საგნად გახდნენ, განსაკუთრებით კრანცი.

**პარიზი.** აი ნამდვილი ამბავი არმენონვილის პავილიონის წინ მომხდარ უწესოების შესახებ: $5^1/_2$ ს. კაფე საკსე იყო ხალხით. ერთმა იქ მყოფმა რაღაც ურიგო სიტყვა სთქვა ლუბეს შესახებ. დანარჩენებმა, ვინ მის სასარგებლოდ დაიწყო ლაპარაკი, და ვინ მის წინაამდეგ. სიტყვიერად შეურაცხებიდგან ჯოხებზედ გადავიდნენ, მერმე მოიშველიეს ჭიქები, გრაფინები და ბოთლები და ბოლოს, სტოლებსა და სკამებსაც სტაცეს ხელი. ამ დროს მანიფესტანტების გროვამ, რომელთაც წითელი ვარდები ერჭოთ ღილის თვლებში, გაიგო რა, თუ რა ხდებოდა, ყვირილი ასტეხა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! A bos la calotte!“ პავილიონს გარს შემოერტყნენ, რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა, რომელთაც ფანჯარის

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 832.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარჩოები ჩამოამტვრიეს, მაშინ როდესაც შიგ პავილიონში ერთმანეთთან შეტაკება არ შეწყვეტილიყო. რამდენიმე კაცი დაიჭრა. შეშინებული ხალხი კაფედგან გარბოდა. კაფე დაკეტილ იქმნა.

**პარიჟი.** საღამოს „Libre Parole“-ს წინ ბრბომ მანიფესტაცია მოახდინა. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. რამდენიმე ჩხუბი მოხდა. რამდენიმე კაცი დაიჭირა.

პოლიციის პრეფექტურა იუწყება, რომ მთელი დღის განმავლობაში 30 კაცი იქმნა დატუსაღებული. ათი პოლიციელი დაიჭრაო.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: პეკინში მყოფმა ინგლისის მისსიამ მოითხოვა, რომ კუეტი-შიუს გუბერნატორი თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნასო. ამ საქმეს მისსიონერის ფლემინგის მოკვლასთანა აქვს კავშირი.

**პარიჟი.** გაზეთები სიხარულს აცხადებენ იმის გამო, რომ გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა და არავითარი არეულობა არ მოხდა, არემნონვილში მომხდარ შეტაკების გარდა.

**ხრისტიანია.** პერცოგის აბრუცის ექსპედიცია, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ აპირებს გამგზავრებას, დღეს გავიდა ზღვაში. ციხიდგან ზარბაზნები დასცალეს.

**პარიჟი.** იმ საჩივრების გამო, რომ გუშინ პოლიციის აგენტები ცუდად იქცეოდნენ, პოლიციის უფროსმა ბრძანება გასცა სასტიკი გამოძიება მოახდინონ. დამნაშავე აგენტები დასჯილნი იქმნებიან. გუშინ შეპყრობილი ოცამდე კაცი საპყრობილეში ჰყრიან. დაპატიმრებულთა გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. დიდი მოძრაობაა. სოციალისტი ვალიანი შეეკითხა მთავრობას, იმ ძალ-მომრეობის შესახებ, რომელიც გუშინ პოლიციამ არემნონვილის ფრალდულთან იხმარა. ორატორმა ჰკითხა, რა ბრძანება გაეცით პოლიციას სოციალისტების შესახებ, რომელნიც რესპუბლიკას იცავდნენო (ტაშის ცემაა მემარცხენეთა შორის). დიუპუიმ განაცხადა, რომ გუშინდელი დღე რესპუბლიკანელთა დღესასწაული იყოო. იმის მეტი არაფერი გვიბრძანებია პოლიციისთვის, რომ წესიერება დაეცვა. ჩხუბი რესტორანის მუშტარსა და მოსამსახურეთა შორის მოხდა, ამასთან დაჭრილ იქმნა სამი აგენტი პოლიციისა. შემდეგ დიუპუიმ სთქვა, რომ მონმარტის ქუჩაზედ აგენტებს ჰქვებსა და სტამბის კლიშეებს ესროდნენო. ისეთი მთავრობა წარმოუდგენელია, რომელსაც წესიერების დაცვის ნებას არ მისცემენო (ცენტრში ტაშის ცემა გაისმა, უკიდურეს მემარცხენეთ წინააღმდეგობა განაცხადეს).

# განცხადებანი


!!მიაქციეთ ყურადღება!!

**ჩინეთის მაღაზია**

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იგემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც [illegible] მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

**საჩუქრებისა და ნიშნობისათვის**

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—32)



**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**
**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**
**для самообразованія**

Уч. ... **МІРЪ БОЖІЙ** ... Уч. ... г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

Въ 1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Рипатау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» путевые очерки Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Бранта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть III. П. Милюкоа. «Александръ 1 и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В. я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржlivingцкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб.
Безъ доставки на годъ . . . . . 7 р.
За границу на годъ . . . . . 10 р.
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**
Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**
Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи;
въ январѣ . . . 3 р.
» маѣ . . . 3 р.
» сентябрѣ . . . 2 р.
За границу: въ январѣ . 4
» » » маѣ . . 3
» » » сентябрѣ . 3

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. П. Острогорскій*



**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской** по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеромъ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.**

(100—2...)